



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ზარიებულის დისკურსი:
სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოისა და
მშვიდობის შეღები

რაჟიმ რაჟიმოვი

167

ეპსკონტის კონკრეტული





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთიერთობათა კენების ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

რაჟიმ რაჟიმოვი

ზარებების დისკურსი:
სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომისა და
მშვიდობის შეღებაზე

167

2021



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

სომხეთთან ყარაბაღის მეორე, 44-დღიანი, ომის (2020 წლის 27 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდე) შემდეგ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა აქტიურად ცდილობს იმის ფორმირებას, რასაც ამ სტატიაში ზანგეზურის დისკურსს ვუწოდებთ. მთავრობასთან დაკავშირებული მედია და საზოგადოების ნაწილი აქტიურად არიან ჩართული ამ დისკურსის ხელშეწყობაში. ზანგეზურის დისკურსი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის იმისა და მშვიდობის მომავალზე ზემოქმედებს და ასევე გვთავაზობს პერსპექტივას, რომ უფრო ფართო ჭრილში განვიხილოთ უსაფრთხოების გარემო, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ ყალიბდება¹.

რა არის ზანგეზური?

ზანგეზური იმ არეალის ისტორიული სახელია, რომლის ტერიტორიული ნაწილები ახლა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს ეკუთვნის. 1868 წელს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ იქ დააარსა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც ზანგეზურის პროვინციის (Zangezurskiy uyezd) სახელითაა ცნობილი. სხვადასხვა დაპირისპირების, დავისა თუ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 1921 წელს, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ზანგეზური საბოლოოდ ორ ნაწილად დაყო: დასავლეთი საბჭოთა სომხეთს მიეკუთვნა, აღმოსავლეთი კი საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა.

რეგიონის სომხურ ნაწილს, რომელსაც აზერბაიჯანი [და-სავლეთ] ზანგეზურს უწოდებს, სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალურად სიუნიკა უწოდებენ და მისი ისტორიის განსხვავებული ვერსია აქვთ². რეგიონი მდებარეობს სომხეთ-ირანის საზღვარზე, აზერბაიჯანსა და მის ექსკლავს – ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას – შორის, რომელიც ირანს, თურქეთსა და სომხეთს შორისაა მოქცეული. აზერბაიჯანული ნარატივის თანახმად, რუსი ბოლშევიკების მიერ [და-სავლეთ] ზანგეზურის სომხეთისთვის გადაცემამ სომხეთსა და ირანს შორის საზღვარი წარმოქმნა და, მეტიც, აზერბაიჯანი ნახიჩევანს ჩამოაშორა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ თურქეთი მოწყვიტა თურქულენოვან სამყაროს, კერძოდ, აზერბაიჯანის კონტინენტურ ნაწილს³. „ზანგეზურის სომხეთის-თვის გადაცემამ თურქულენოვანი სამყაროს გეოგრაფიულ გახლე-ჩამდე მიგვიყვანა“, – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილ-ჰამდე ალიევმა თურქულენოვანი ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს სამიტზე⁴. მაშასადამე, ზანგეზურის საკითხი არათუ უბრალოდ ეთ-

ნიკური ან ისტორიული ხასიათის დავაა, არამედ რეგიონის ცვალებადი გეოპოლიტიკური დღის წესრიგის საკითხია⁵. ზანგეზურის დისკურსს ორი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი კომპონენტი აქვს: ზანგეზური, როგორც სატრანსპორტო დერეფანი, და ზანგეზური, როგორც წინაპართა მიწა.

ტერმინლოგია

სტატიაში გამოვიყენებთ ნეიტრალურ ენას, რათა ან არ მივემხროთ და ან არ უარვყოთ რომელიმე ტერმინოლოგია. ვინაიდან ნაშრომის მთავარი თემაა აზერბაიჯანის დისკურსი, ტერმინოლოგიაც იმ ენას უკავშირდება, რომელსაც აზერბაიჯანში იყენებენ. შესაბამისად, უფრო სიცხადისა და თანმიმდევრულობისთვის ნაშრომში გამოყენებული იქნება შემდეგი ტერმინები: „ზანგეზურის დისკურსი“, „ზანგეზურის დერეფანი“ და „ზანგეზურის რეგიონი/მხარე“.

ზანგეზური, როგორც სატრანსპორტო დერეფანი

2020 წლის 9-10 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის შუამავლობით სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შორის გაფორმდა სამხხრივი დეკლარაციის სახელით ცნობილი ზავი, რომლითაც 44-დღიანი ომი დასრულდა⁶. 9-პუნქტიანი დოკუმენტი იმ მნიშვნელოვან მუხლს მოიცავს – მე-6-ს და მე-9-ს. მე-6 მუხლის თანახმად, ჩამოყალიბდა ლაჩინის 5-კილომეტრიანი დერეფანი, რომელიც აზერბაიჯანის ლაჩინის რაიონზე გადის (სწორედ ამიტომ ეწოდება მას ლაჩინის დერეფანი); დერეფანი, რომელსაც რუსი სამშვიდობოები აკონტროლებენ, სომხეთის რესპუბლიკას ასევე რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ კონტროლირებად ყარაბაღის სომხებით დასახლებულ ნაწილთან აკავშირებს. ეს მუხლი დაუყოვნებლივ შესრულდა. მე-9 მუხლში კი ნათქვამია, რომ ყველა „სატრანსპორტო კავშირი“ უნდა გაიხსნას. კერძოდ, აზერბაიჯანსა და ნახიჩევანს შორის უნდა ჩამოყალიბდეს „სატრანსპორტო კავშირი“, რომელსაც რუსეთის სასაზღვრო ჯარები (და არა სამშვიდობო ძალები) გააკონტროლებენ. ამ ხაზმა ზანგეზურის/სიუნიკის რეგიონზე უნდა გაიაროს და, შესაბამისად, აზერბაიჯანი მას უწოდებს ზანგეზურის დერეფანს, რომელიც ნახიჩევანის ან მელრის დერეფანის სახელითაც არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ მე-6 მუხლისგან განსხ-

ვავებით, მე-9 მუხლით გათვალისწინებული პირობა ჯერ კიდევ არ შესრულებულა. დოკუმენტი ერთმანეთისგან განასხვავებს „ლაჩინის დერეფანს“ (სომხეთისთვის) და „სატრანსპორტო კავშირს/კომუნიკაციას“ (აზერბაიჯანისთვის).

როგორც ჩანს, ბაქომ ტერმინ „კორიდორის“ მე-9 მუხლში ჩასმა ვერ შეძლო, თუმცა ვერც მის ამოღებას ეგუება. შესაბამისად, ბაქო ცდილობს არათანმიმდევრული რეალობის შექმნას, რომელშიც ზანგეზურის დერეფანი დე ფაქტო ლაჩინის დერეფანთანაა გაიგივებული. შემდეგ კი ნახიჩევანამდე სატრანსპორტო კომუნიკაციის ან კვაზი-დერეფანის დაარსების გზით, ბაქო ამ არათანმიმდევრული რეალობისთვის ხორცის შესხმას შეეცდება. ამ მიზნით, ბაქო ზანგეზურის დერეფანის სასარგებლოდ აქტიურად ლობირებს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო დონეზე. 15 ივნისს აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შუშას დეკლარაციას მოკავშირეობის შესახებ. დეკლარაციაში [ზანგეზურის დერეფანი] ბრჭყალებშია ჩასმული⁷. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მთავრობამ და მასთან დაკავშირებულმა მედიამ ეს წარმატებულ საერთაშორისო აღიარებად შეაფასა. ზანგეზურის დერეფანი ბაქოს სტრატეგიული კომუნიკაციის განუყოფელ ნაწილად იქცა. პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ ტერმინი ზანგეზურის დერეფანი „უკვე გამოიყენება საერთაშორისო ლექსიკონში“. მისი თქმით, ამ საკითხის მიმართ ევროკავშირიც დადგინდა განწყობილი. ალიევმა აღნიშნა, რომ ბაქოში ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის ვიზიტის ფარგლებში მათ ამ საკითხზე აზრები გაცვალეს და, მისი თქმით, ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ამ პროექტს⁸.

გაურკვეველია, თუ რა სხვაობაა სატრანსპორტო კავშირს/კომუნიკაციასა და დერეფანს შორის, თუმცა დეკლარაციის ტექსტის მიხედვით, დერეფანი უფრო მაღალი სტატუსის მქონე ჩანს. მიუხედავად ამისა, გაუგებრობა მაინც არსებობს. ლაჩინის დერეფანი დაცულია [რუსი] სამშვიდობოების მიერ, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, კონფლიქტის ზონაში არიან განლაგებული. ამასთან, საკომუნიკაციო ხაზი ნახიჩევანამდე რუსმა მესაზღვრეებმა უნდა დაიცვან, რომლებიც ასევე იცავენ სომხეთის საზღვრებს ირანთან და თურქეთთან. ეს ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს სატრანსპორტო ხაზის ტერიტორია გარკვეულწილად აზერბაიჯანისაა ან სომხეთისთვის უცხოა: ის მდებარეობს სომხეთ-ირანის საზღვრის გასწვრივ, რომელსაც ასევე რუსეთის სასაზღვრო ძალები იცავენ. ირანის შეშტოთება ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. თეირანმა განაცხადა, რომ ის უარს ამბობს სომხეთსა და ირანს შო-

რის სასაზღვრო პირობების ცვლილების შედეგად გაჩენილ „ახალ მეზობელზე [აზერბაიჯანზე]“⁹. პრეზიდენტი ალიევის პასუხმა კი – „ირანისთვის ეს არ იქნება რაიმე სიახლე“¹⁰ – არათუ უარყო ეს ინტერპრეტაცია, არამედ, პირიქით, განამტკიცა.

ზანგეზური, როგორც წინაპართა მინა

ირანული ინტერპრეტაცია ამძაფრებს იდეას, რომ ზანგეზურის დერეფნის პროექტის განხორციელება აზერბაიჯანის „წინაპართა მინაზე“ დაპრუნებას მოასწავებს¹¹. მაშასადამე, აზერბაიჯანისთვის ზანგეზური უფრო მეტია, ვიდრე სატრანსპორტო კავშირი ნახიჩევანამდე და/ან თურქეთამდე. აზერბაიჯანი ისე განიხილავს ზანგეზურს, როგორც საკუთარ ისტორიულ მინას, რომელიც საბჭოთა ბოლშევიკურმა ძალებმა მას ძალისმიერი გზით ჩამოართვეს და სომხეთს გადასცეს. პრეზიდენტ ალიევს არაერთხელ განუცხადებია, რომ „ზანგეზური ჩვენი წინაპრების მინაა“, რომელიც „საბჭოთა ხელისუფლებამ სომხეთს გადასცა“. ის პირობას დებს: „ჩვენ [აზერბაიჯანები] დავპრუნდებით ზანგეზურში, ვერავინ შეგვაჩერებს“¹². შესაბამისად, ბაქო ამ დაპირებების შესრულებას შემდეგი სახის განცხადებით უწყობს ხელს: „ჩვენ ვახორციელებთ ზანგეზურის დერეფნის პროექტს, მიუხედავად იმისა, სურს ეს სომხეთს თუ არა. ჩვენთვის უფრო მარტივი იქნება, თუ მათ ეს სურთ, თუ არადა, ამას ძალისმიერი გზით გადავწყვეტით“¹³.

ამ რიტორიკის შესაბამისად, 2021 წლის 7 ივლისს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილპამ ალიევმა ქვეყნის ეკონომიკური რეგიონების რეორგანიზაციის შესახებ განკარგულება გასცა¹⁴. განკარგულებაში თვალშისაცემი და ყველაზე გამორჩეული პუნქტი იყო ახალი ეკონომიკური რეგიონის – „აღმოსავლეთ ზანგეზურის“ – შექმნა. ის მოიცავს ისტორიული აღმოსავლეთ ზანგეზურის ნაწილებს, რომლებიც ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ რეგიონის გახლეჩის შემდეგ აზერბაიჯანს დარჩა. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ „თუ არსებობს აღმოსავლეთ ზანგეზური, მაშინ არსებობს დასავლეთ ზანგეზურიც“. მისი განცხადება ალიქვეს, როგორც აზერბაიჯანის პრეტეზზია სომხეთის სიუნიკის რეგიონზე¹⁵.

აზერბაიჯანის ხელისუფლების ზანგეზურის დისკურსმა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში გამოძახილი ჰქოვა. ეს განსაკუთრებით შეეხო მათ, ვინც თავად არიან ზანგეზურიდან ან ვისი წინაპრებიც იყვნენ ზანგეზურიდან და ვინც აიძულეს, რომ სახლები

დაეტოვებინათ საბჭოთა ან რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით, გადასახლების ბოლო ტალღის დროს, 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან ბოლომდე. ამ ტალღის ფარგლებში აზერბაიჯანმა 250,000-ზე მეტი ლტოლვილი მიიღო სომხეთიდან, მათ შორის, ზანგეზურის არეალიდან. ეს ადამიანები წარმოადგენენ ხელისუფლების მხარდამჭერთა ბაზას და აქტიური როლი შეასრულეს 1990-იანი წლების დასაწყისში აზერბაიჯანში ძალუფლებისთვის ბრძოლის შედეგების განსაზღვრაში.

პრეზიდენტმა ალიევმა განცხადა, რომ ის ზანგეზურის შესახებ 10 წლის წინ ლაპარაკობდა. ეს განცხადება, თავის მხრივ, პასუხია ალიევის ოპონენტებისთვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ზანგეზურის დისკურსის აქტიური ხელშეწყობით მთავრობა ცდილობს საზოგადოებას ყურადღება გადაატანინოს ყარაბაღის იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც სომხეთ-რუსეთის კონტროლს ექვემდებარება, როგორებიცაა ხანქენდი/სტეფანაკერტი, ხოჯავანი/მარტუნი, ხოჯალი, ასკერანი და სხვა.

ამასთან, პრეზიდენტმა ალიევმა არაერთხელ დააყენა სადავო სომეხი სარდლის – გარეგინ ნედეს – განდიდების საკითხი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება II მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტურ ძალებთან კოლაბორაციაში სდებდა ბრალს. ამ საკითხის ნამონევის გამორჩეული მოტივი სწორედ ზანგეზურს უკავშირდება: 1919 წელს ნედემ სომხური ძალები აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებამდე და აზერბაიჯანის მმართველობის უარყოფამდე მიყვანა, რასაც შედეგად ბოლშევიკების მიერ ზანგეზურის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად დაყოფა მოჰყვა¹⁶. ალიევმა ნედეს საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე განიხილა, მათ შორის, დასტ-ის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე. შედეგად, რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, რუსეთში ნედეს განდიდების მცდელობებისთვის ბოლო მოელო.

შედეგები

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ზანგეზურის დისკურსი გარკვეულწილად მართლაც შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც იმ ფაქტიდან ყურადღების გადატანის მცდელობა, რომ ყარაბაღის სომხეთ-რუსეთის მიერ კონტროლირებადი ნაწილი კვლავ აზერბაიჯანის დე ფაქტო უფლებამოსილების გარეთ რჩება. თუმცადა, ეს საკითხი ისეთი მარტივი არაა, რომ მასზე მხოლიდ შიდასახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან ვიმსჯელოთ. საერთაშორისო დო-

ნეზე ზანგეზურის დისკურსი უკვე არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობასაც ეხება. მართლაც, ეს სტრატეგია ეფექტიანი ჩანს. ამის საპასუხოდ, ერევანმა გააკეთა რამდენიმე განცხადება, რომლებიც „სიუნიკის რეგიონში სომხეთის სუვერენული ტერიტორიის ხელყოფის“ საკითხს ეხებოდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა აზერბაიჯანს „ინტერვენციის შეწყვეტისკენ“ მოუწოდა.

ყარაბაღში აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე სომხეთის დავის დაბალანსება ზანგეზურის დისკურსის ლოგიკური ახსნა შეიძლება იყოს: თუ აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე სომხეთი კვლავ გამოთქვამს პრეტენზიას, მაშინ მას აზერბაიჯანიც შესაბამის პასუხს გასცემს. ფაქტობრივად, ტერიტორიული მთლიანობა ორმხრივ საფუძველზე უნდა იყოს აღიარებული. კონფლიქტის სამი ათწლეულის განმავლობაში აშკარა გახდა, რომ ბაქოს არ ჰქონია რაიმე ახალი ტერიტორიული პრეტენზია სომხეთის მიმართ, ამიტომ მან, პარადოქსულად, მთელი ყურადღება გადაიტანა აზერბაიჯანის ტერიტორიებზე, მათ შორის, ყარაბაღსა და მის მიმდებარე რეგიონებზე; შედეგად, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა კონფლიქტის მთავარი საგანი გახდა.

ზანგეზურის დისკურსმა აშკარად იმოქმედა სომხეთის შიდა პოლიტიკურ დებატებზე და, ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის მიერ მართულ მთავრობას, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ოპონენტებსა და კრიტიკოსებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ცნობილი სომხეთი ექსპერტი ალექსანდრე ისკანდარიანი აღნიშნავს, რომ ილჭამ ალიევი „სომხეთის საშინაო პოლიტიკისა და საუბრების საკმაოდ სერიოზულ აქტორად“ იქცა. ისკანდარიანის დასკვნით, ალიევმა „ფაქტობრივად, სომხური დისკურსი უკვე შეცვალა“¹⁷. სომხეთის მოსახლეობის ნაწილი მართლაც მიიჩნევს, რომ ნახიჩევანამდე საკომუნიკაციო ხაზების დაფუძნება ზანგეზურში აზერბაიჯანის დაპრუნებას მოასწავებს. სომხეთის სიუნიკის რეგიონის მოსახლეობამ პრემიერ-მინისტრი ფაშინიანის ესკორტს გზა გადაუკეტა, რათა ზანგეზურის დერეფნის შესაძლო გახსნა გაეპროტესტებინათ¹⁸.

ზანგეზურის დისკურსმა, ყარაბაღის მეორე ომში დამარცხებასთან ერთად, სომებს საზოგადოებაში „კოგნიტური დისონანსი“ გამოიწვია: ერთი მხრივ, სატრანსპორტო ხაზების გახსნა სომხეთის ინტერესებში შედის; სხვა თუ არაფერი, ამან ქვეყნის სამი ათწლეულის რეგიონული იზოლაცია დაასრულა. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ გაურკვევლობაა, უნდა გაიხსნას თუ არა სატრანსპორტო ხაზები „მტერთან“ [აზერბაიჯანთან/თურქეთთან]. აზერბაიჯანში

ზანგეზურის დისკურსი და მასთან დაკავშირებული რიტორიკა კი ამ გაურკვევლობას მხოლოდ ამძაფრებს¹⁹. მიუხედავად ამისა, ბაქოს ორაზროვანი ტერიტორიული პრეტენზია ზანგეზურზე, ანუ სომხეთზე, როგორც წინაპართა მიწაზე, სომხეთის შიშსა და გაურკვევლობას კიდევ უფრო ამნვავებს. ამის მაგალითია აზერბაიჯანის პრეზიდენტის შემდეგი განცხადება: „ერევანში ყოფნისას შარლ მიშელმა სასაზღვრო ტერიტორიებს სადავო უწოდა. სიმართლე გითხრათ, მე არც ამ გამონათქვამს ვეთანხმები, რადგან ჩვენ გვჯერა, რომ ეს ტერიტორიები ჩვენია. მე მნამს, რომ ეს ზანგეზურის ტერიტორიაა, ხოლო ზანგეზური ჩვენი წინაპრების მიწაა, ასე რომ, ჩვენ ჩვენს კუთვნილ ტერიტორიაზე ვართ“²⁰.

აზერბაიჯანში ზანგეზურის დისკურსზე რუსეთის პოზიცია ბუნდოვანია. ერთი შეხედვით, ზანგეზურის დისკურსი ენინააღმდეგება რუსულ ინტერესებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის შეიცავს ტერიტორიულ პრეტენზიებს მოსკოვის სტრატეგიული მოკავშირის – სომხეთის მიმართ, არამედ ასევე განამტკიცებს თურქეთ-აზერბაიჯანის ორმხრივ ურთიერთობებს და რეგიონში მოსკოვის გავლენის შემცირების ხარჯზე ანკარის გავლენას აძლიერებს. რეალურად, ამან კრემლი უნდა დააშოშმინოს არაერთი მიზეზის გამო: რუსული რკინიგზა, როგორც სომხური რკინიგზის მფლობელი, კომერციული თვალსაზრისით იხეირებს; დერეფანს რუსი მესაზღვრები დაიცავენ, რაც რეგიონში მოსკოვის გეოპოლიტიკურ პოზიციას განამტკიცებს; რუსეთი მიიღებს მეტად საჭირო სარკინიგზო (და, შესაძლოა, ავტომაგისტრალურ) კავშირს სომხეთამდე, აზერბაიჯანის გავლით; დერეფანის შექმნა მნიშვნელოვნად შეამცირებდა ირანისა და საქართველოს გავლენას; დერეფანის პროექტის განხორციელების ხელშეწყობის სანაცვლოდ, რუსეთმა ბაქოს შეიძლება დამატებით დათმობებზე წასვლაც მოსთხოვოს.

ალსანიშნავია, რომ მოსკოვისთვის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ სატრანსპორტო ხაზების სრული გახსნა შედეგად მოიტანდა თურქეულ-სომხური სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენასა და, საბოლოოდ, ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. იმის განმარტება, თუ რატომ დათანხმდებოდა მოსკოვი ზანგეზურის დერეფანის გახსნას, შუშას დეკლარაციაში შეიძლება ვიპოვოთ. დეკლარაციაში განმარტებულია, რომ „ყარსი-ნახიჩევანის რკინიგზა [თურქეთსა და ნახიჩევანს შორის, სომხეთში საბჭოთა პერიოდის მარშრუტის გვერდის ავლით] „ზანგეზურის“ დერეფანის გაგრძელებაა“. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ ზანგეზურის დერეფანი ვერ გაგრძელდება სომხე-

თის გავლით თურქეთამდე, რაც გამოიწვევდა სომხეთ-თურქეთის საზღვრის ჩაკეტვასა და სატრანსპორტო ხაზების განუსაზღვრელი ვადით ბლოკირებას.

რაც შეეხება ზანგეზურზე აზერბაიჯანის მიერ გაცხადებულ პრეტენზიას, მოსკოვი ფრიად კმაყოფილი უნდა იყოს; სხვა თუ არაფერი, ასეთი რიტორიკა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსეთის გადამწყვეტ მნიშვნელობას სომხეთის უსაფრთხოებისთვის. მაშასა-დამე, ეს არის ირონიული და პარადოქსული ვითარება, რომელშიც, ერთი მხრივ, ზანგეზურის დისკურსი ვითომდა ემსახურება აზერბაიჯანის სტრატეგიას, უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა მისი ურთიერთდაკავშირებით სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასთან. კერძოდ, ამ პრინციპს ან ორივე მხარე უნდა სცემდეს პატივს, ან არც ერთი მათგანის ტერიტორიული მთლიანობა არ იქნება დაცული. მეორე მხრივ, ზანგეზურის დისკურსი სომხეთს აშკარად უბიძგებს მესამე მხარისკენ, კერძოდ, რუსეთისკენ, რაც დიდი სამშვიდობო ხელშეკრულების პერსპექტივას კიდევ უფრო გვაშორებს.

სანამ სომხეთი და აზერბაიჯანი ზანგეზურზე კამათობენ, რუსეთი, პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში) მსგავსი ტიპის კონფლიქტებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ყარაბაღის დარჩენილ, სომხებით დასახლებულ ნაწილში თავის პროტექტორატს ქმნის²¹. ამასთან, კრემლი დომინანტური არბიტრობის მორიგ შესაძლებლობას იძენს არა მხოლოდ ყარაბაღში, არამედ სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ²². ეს ორი ქვეყანა ვერავის დაადანაშაულებს საკუთარი თავის გარდა, რადგან ისინი არც კი ფიქრობენ პირისპირ დიალოგზე, სანაცვლოდ კი, გამუდმებით ეძებენ იდეალურ არბიტრს, რომელიც მათ მიზნებს შესაბამისად დაუჭერდა მხარს. შედეგად, მშვიდობისა და დაზავების ის პოტენციალი, რომელიც სატრანსპორტო ხაზებს აქვს, არა მხოლოდ დაჩრდილულია ორი განსხვავებული, ურთიერთსანინააღმდეგო დღის წესრიგით, არა-მედ საზიანოც კი შეიძლება გახდეს.

ՀԵԲՈԺՅԵՑՈ

1. Rahim Rahimov. "Baku Parade Whispers Geopolitical Complexities in the South Caucasus." *Georgian Foundation for Strategic and International Studies*. Expert Opinion Paper 153. 2021. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/153-expert-opinion-eng.pdf> (բանես: 23.08.2021)
2. Марина и Гамлет Мирзоян. "ЗАНГЕЗУР (СЮНИК), 1921 ГОД: ХРОНИКА СОБЫТИЙ". НОЕВ-КОВЧЕГ. №2 (335) февраль 2021. <https://noev-kovcheg.ru/mag/2021-02/7194.html> (բանես: 23.08.2021)
3. Taleh Baghiyev. "On the Zangezur Question". *Azerbaijan Focus*. April 13, 2021. Part One: <https://azerfocus.com/on-the-zangezur-question/>; Part Two: <https://azerfocus.com/on-the-zengezur-question/> (բանես: 24.08.2021)
4. Аза Бабаян. Алиев: «Передача Зангезура Армении привела к географическому расколу тюркского мира». Радио Азатутюн. October 15, 2019. <https://rus.azatutyun.am/a/30217915.html> (բանես: 24.08.2021)
5. Денис Яковенчук. "Почему границы Армении в Сюнике рисуют по GPS?". ИА Красная Весна, Газета «Суть времени» №409. December 24, 2020. <https://rossaprimalavera.ru/article/00be2b60> (բանես: 26.08.2020)
6. Statement by President of the Republic of Azerbaijan, Prime Minister of the Republic of Armenia and President of the Russian Federation. November 10, 2020. <http://en.kremlin.ru/events/president/news/64384> (բանես: 22.08.2021)
7. Shusha Declaration on Allied Relations between the Republic of Azerbaijan and the Republic of Turkey. June 15, 2021. <https://coe.mfa.gov.az/en/news/3509/shusha-declaration-on-allied-relations-between-the-republic-of-azerbaijan-and-the-republic-of-turkey> (բանես: 22.08.2021)
8. "The CNN Turk TV Channel Has Interviewed Ilham Aliyev". August 14, 2021. <https://en.president.az/articles/52736> (բանես: 27.08.2021)
9. *TehranTimes*. "Iran warns against change in international borders in Caucasus region". May 17, 2021. <https://www.tehrantimes.com/news/461022/Iran-warns-against-change-in-international-borders-in-Caucasus> (բանես: 22.08.2021)
10. Rahim Rahimov. "Iran's drive for a railway connection to the Black Sea: technical obstacles and geostrategic implications". *Strategic Assessment – A Multidisciplinary Journal on National Security*. Volume 24, No.3. Tel-Aviv, Israel. https://strategicassessment.inss.org.il/en/articles/rahimov_iran_railway/ (բանես: 24.08.2021)
11. Ilham Aliyev. Speech at "New Vision for South Caucasus: Post-Conflict Development and Cooperation" International Conference held at ADA University. April 13, 2021. <https://president.az/articles/51088> (բանես: 24.08.2021)
12. Turan. "Azerbaijanis will return to Zangezur – Ilham Aliyev". July 15, 2021. https://www.turan.az/ext/news/2021/7/free/politics_news/en/5882.htm/001 (բանես: 27.08.2021)

13. *Trend*. "We are implementing Zangezur corridor, whether Armenia wants it or not - President Aliyev". April 21, 2021.
<https://en.trend.az/azerbaijan/politics/3412194.html> (ճամկություն: 27.08.2021)
14. "Указ Президента Азербайджанской Республики о Новом Делении Экономических Районов в Азербайджанской Республике". July 7, 2021.
<https://ru.president.az/articles/52389> (ճամկություն: 27.08.2021)
15. Tatevik Hayrapetyan. Baku Threatens Yerevan with "Peace Treaty". EVN Report. August 19, 2021. <https://www.evnreport.com/politics/baku-threatens-yerevan-with-peace-treaty> (ճամկություն: 31.08.2021)
16. Дмитрий Семушин. «Деликатный вопрос» Нжде: Сюник, концепция «цехакрона» и национальная революция. *EurAsia Daily*. May 30, 2021.
<https://eadaily.com/ru/news/2021/05/30/delikatnyy-vopros-nzhde-syunik-koncepciya-cehakrona-i-nacionalnaya-revoluciya> (ճամկություն: 23.08.2021)
17. Новости Армении - *NEWS.am*. "Политолог: Широкомасштабной войны между Арменией и Азербайджаном не будет", July 27, 2021.
<https://news.am/rus/news/655539.html> (ճամկություն: 26.08.2021)
18. РБК. "Макрон на армянском призвал ВС Азербайджана покинуть Армению". May 14, 2021.
<https://www.youtube.com/watch?v=TFrDFv31WH8> (ճամկություն: 26.08.2021)
19. Aram Sargsyan. Interview with Davit Babayan. July 16, 2021.
<https://armenpress.am/eng/news/1058319.html> (ճամկություն: 31.08.2021)
20. "Ilham Aliyev Viewed Activities of Chovdar Integrated Regional Processing Area Owned by AzerGold CJSC". July 22, 2021. <https://en.president.az/articles/52522> (ճամկություն: 27.08.2021)
21. Vladimir Socor. "Russia's Karabakh Protectorate Takes Clearer Shape". *Eurasia Daily Monitor*, Volume 18 Issue 45. March 18, 2021.
<https://jamestown.org/program/russias-karabakh-protectorate-taking-clearer-shape-part-one/> (ճամկություն: 27.08.2021)
22. Artak Khulian, Aza Babayan. "Moscow Offers to Facilitate Armenian-Azerbaijani Border Demarcation". *Radio Azatutyun*. May 19, 2021.
<https://www.azatutyun.am/a/31263187.html> (ճամկություն: 07.09.2021)